**სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის**
**სახელმწიფო უნივერსიტეტი**

04 დეკემბერი, 2025 წ.

**ბრძანება №01-02/219**

„ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმართვის მიზნით სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 19 თებერვლის №01-02/23 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის №06-01/06 დადგენილების,** „პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების გრძელვადიანი (შვიდწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 12 მარტის №06-01/23 დადგენილების, „პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის (2025 წ.) დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 31 იანვრის №06-01/10 დადგენილებისა და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2025 წლის 01 დეკემბრის №1701054 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმართვის მიზნით სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 19 თებერვლის №01-02/23 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, ბრძანების პირველი პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს **შემდეგი რედაქციით:**

„1. ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმართვის მიზნით დამტკიცდეს **სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი** შემდეგი შემადგენლობით:

ა) **ბადრი გეჩბაია** - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი, **ჯგუფის ხელმძღვანელი;**

ბ) **მამუკა გოგელია** - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი;

გ) **მარინე გიორგაძე** - ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი;

დ) **გურამ გვარიშვილი** - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ფინანსური მენეჯერი;

ე) **ირინე ბერიძე** - ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი;

ვ) **ლევან ტარიელაძე** - ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსი;

ზ) **თამარ მხატვარი** - დამსაქმებელი, ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება" ხელმძღვანელი, ბათუმის რეფერალური ჰოსპიტლის სამედიცინო დირექტორი;

თ) **თათია სეფერთელაძე** - დამსაქმებელი, ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები" ხელმძღვანელი;

ი) **ნათია ბურჭულაძე** - ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საბიბლიოთეკო საქმე" ხელმძღვანელი;

კ) **ნათია ტაკიძე** - ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა" ხელმძღვანელი, ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებელი;

ლ) **გიორგი მახარაძე** - ბსუ-ს აგრარული ექსტენციის ცენტრის ხელმძღვანელი, ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებელი;

მ) **ნათია მაკარაძე** - დამსაქმებელი, ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებელი;

ნ) **მზია ბაკურიძე** - დამსაქმებელი, ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებელი.".

2. სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფს დაევალოს „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის №06-01/07 დადგენილების შესაბამისად თავიანთი უფლებამოსილების განხორციელება.

3. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილების შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში - „პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი").

5. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს ინოვაციებისა და სტრატეგიული განვითარების მიმართულებით (მ. ხალვაში), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, იურიდიულ

დეპარტამენტს, ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის წევრებს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი ტიტე არაშიძე